(წინა სახელწოდება: Disbocret® 535 BetonLasur)

DisboCRET 535
1K-Acryl-Betonlasur

ბეტონის ლაზური გარე სამუშაოებისთვის და ასევე, როგორც გამქვირვალე დამცავი დანაფარი. გამხსნელების გარეშე.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

DisboCRET 535-ლაზური იცავს ზედაპირს დამაბინძურებელი ნივთიერებების და წყლის შეღწევისგან. ასევე ზრდის - ახალი, ძველი, გარემონტებული, გარეცხილი, კონსტრუქციული და დაუცველი ბეტონის ზედაპირებზე, დატვირთვისადმი მედეგობის უნარს. ზედაპირზე ქმნის წყალმცენარეებისგან, ობისგან და ხავსისგან დამცავ შრეს.

თვისებები

- ატმოსფერული მოვლენებისადმი მედეგი
- ტუტეების მიმართ მედეგი
- ულტრაიისფერი სხივებისადმი (UV) მედეგი
- მარტივად წმენდადი
- სწრაფი გაშრობა
- იცავს კოროზიული დაზიანებისგან
- ორთქლდიფუზიური
- აფერხებს მავნე აირებს CO2-ისა და SO2-ის მიმართ

მასალის შემკვრელი

აკრილატი-დისპერსია

შეფუთვის ზომები

12,5 ლ. პლასტმასის კონტეინერი

ფერი

გამქირვალე
შეფერადება შესაძლებელია 700-ზე მეტ ფერში,
ColorExpress-ის სისტემის აპარატების მეშვეობით.

სიპრიალის ხარისხი

მქრქალი - DIN EN 1062-ის მიხედვით.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ ადგილას, დახურულ შეფუთვაში. მოარიდეთ ყინვას.
ორიგინალ/დახურულ შეფუთვაში შენახული პროდუქტის ვარგისიანობის ვადა 1 წელია.

ტექნიკური პარამეტრები

- სიმჭიდროვე: დაახლ. 1,0 გ/სმ3
- მყარი ნივთიერებების შემცველობა: დაახლ. 34 წონა-%
- მშრალი ფენის სისქე: დაახლ. 30 µm/100 მლ/მ2
- დიფუზიის წინააღმდეგობის კოეფიციენტი µ (H2O): 3.500
- დიფუზიის წინააღმდეგობის კოეფიციენტი µ (CO2): 1.000.000
- დიფუზიის ექვივალენტური ჰაერის ფენის სისქე sdH2O: დაახლ. 0,28 მ (80 µm მშრალი ფენის სისქე)
- დიფუზიის ექვივალენტური ჰაერის ფენის სისქე sdCO2: დაახლ. 80 მ (80 µm მშრალი ფენის სისქე)
- წყლის შეღწევადობა(w-ფაქტორი): < 0,015 კგ/(მ2 · h0,5) w3 (დაბალი) DIN EN 1062

გამოყენება

შესაფერისი ზედაპირები

ბეტონი, Disbocret®-სისტემის ფითხები. მინერალური ბათქაშები უნდა შემოწმდეს დაფარვის უნარზე. საჭიროების შემთხვევაში გამოყავით საცდელი ადგილები. ზედაპირის გაჭიმვის სიძლიერე უნდა იყოს საშუალოდ 1.0 N / მმ2. ყველაზე მცირე ერთეული მნიშვნელობა არ უნდა იყოს 0.5 N / მმ2– ზე დაბალი.

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს სუფთა და თავისუფალი ფხვიერი ნაწილებისგან. მოაცილეთ გამყოფი ნივთიერებები (მაგ. ზეთი, ცხიმი), ძლიერი დაბინძურება (მაგ. ხავსი, ობი და წყალმცენარეები) და მინისებრი, არასტაბილური ცემენტის ქვა - შესაფერისი მეთოდების გამოყენებით. ზედაპირი უნდა იყოს თავისუფალი ისეთი კომპონენტებისგან, რომლებიც ხელს უწყობენ კოროზიის წარმოქმნას (მაგ., ქლორიდები).
თანაბარი და საკმარისად სქელი, დამცავი დანაფარების მისაღწევად, დაზიანებული ადგილები, ბზარები, უთანასწორობა, უხეშობა, ფორები და სიცარიელეები უნდა შეივსოს და გასწორდეს Disbocret®-ის სისტემის მასალების გამოყენებით, ქარხნული ინსტრუქციების შესაბამისად.

მასალის მომზადება

გააზავეთ საგრუნტი გამჭირვალე მასალა 20 % წყლით და საფუძვლიანად აურიეთ, სანამ არ მიიღებთ ერთგვაროვ მასას.

შუალედური და საბოლოო ფენა
DisboCRET 535-ი მზად არის გამოსაყენებლად და საჭიროებს მხოლოდ საფუძვლიან ამორევას. დამასრულებელი, დამცავი დანაფარის შესაქმნელად, გამჭვირვალე მასალის შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-ის აპარატების მეშვეობით.

დატანის მეთოდები

მასალის დატანა შესაძლებელია სამღებრო ფუნჯით ან გორგოლაჭით. ჩვენ გირჩევთ ლაზური დაიტანოთ მთელს ზედაპირზე რბილი ფუნჯით (მაგ. ოვალური ფუნჯი). ფუნჯის გამოყენებისას, მასალა დაიტანება ჯვარედინი სვლით.
არ შეიძლება მასალის, პირდაპირი მზის სხივების ქვეშ, წვიმის, ძლიერი ქარის ან გახურებულ ზედაპირებზე გამოყენება. საჭიროების შემთხვევაში, დაამუშავეთ ზედაპირი განმეორებით.
გაითვალისწინეთ: VOB ნაწილი C, DIN 18 363 მე-3 პუნქტი.

დაფარვის სტრუქტურა

საგრუნტი დანაფარი
სუსტად შემწოვი ბეტონის ზედაპირები დაგრუნტეთ 20 % წყლით გაზავებული DisboCRET 535-ით. ძლიერად შემწოვი ზედაპირები, ან არაპროპორციული შეწოვის უნარის მქონე ზედაპირები, DisboCRET 535-ის დატანამდე უნდა დაიგრუნტოს პროდუქტით: Caparol Dupa-grund-ი, რათა ზედაპირზე მოხდეს შეწოვის უნარის გათანაბრება.

შუალედური და საბოლოო დანაფარი
დაიტანეთ DisboCRET 535-ი გაუზავებლად.
იქიდან გამომდინარე თუ რამდენად ღია ფერის არის ზედაპირი, გამჭირვალე ლაზურის წასმის შემდეგ შესაძლოა, ფერი უფრო მუქი გამოჩნდეს. ბეტონის კომპონენტებისთვის, განსაკუთრებით თეთრი ცემენტის ბეტონზე, აუცილებელია საცდელი ფენის დატანა, რადგან შესაძლოა ფერის ცვლილებები. ლაზურის ფერის ტონი უნდა შეესაბამებოდეს ზედაპირის ფერს, რათა თავიდან აიცილოთ ფერის აჭრელება.
DisboCRET 535-ი დატანილ უნდა იქნას სწრაფად და ერთი მოსმით " სველი-სველზე" მეთოდით. ასევე დატანის პროცესში უნდა მონაწილეობდეს 2 ადამიანი, რათა თავიდან აიცილოთ ზედაპირზე მასალის დაგროვება.

ხარჯი

საგრუნტი ფენა DisboCRET 535 (transparent) Caparol Dupa-grund*	 დაახლ. 150-220 მლ/მ² დაახლ. 150-300 მლ/მ²
შუალედური და საბოლოო ფენა DisboCRET 535	 დაახლ. 150-220 მლ/მ²

* იხილეთ Caparol Dupa-grund-ის ტექნიკური ინფორმაცია.

ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.

გამოყენების პირობები

მასალის, ცირკულირებადი ჰაერის და ზედაპირის ტემპერატურა:
mind. 5 °C, max. 40 °C

შრობის დრო

20 C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში, ზედაპირი მტვრისადმი მედეგია დაახლ. 1 საათში, დაახლ. 6 საათში კი, წმივამედეგი. შრება და მზადაა შემდეგი ფენის დასატანად დაახლ. 12 საათში.

ხელსაწყოების წმენდა

სამუშაოს დასრულებისას, ან ხანგრძლივი შესვენების დროს, ხელსაწყოები დაუყოვნებლივ გარეცხეთ წყლით

მითითებები

უსაფრთხო მოხმარების წესები

მოარიდეთ ბავშვებს! ექიმის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიეთ შეფუთვა ან ეტიკეტი. შეიცავს: 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონ, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონ. შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები. **დამუშავებული საქონლის მარკირება ბიოციდებისთვის** - ეს პროდუქტი ევროკავშირის რეგულაციის 528/2012 მიხედვით, არის „დამუშავებული საქონელი“ (არა ბიოციდური პროდუქტი) და შეიცავს შემდეგ ბიოციდურ აქტიურ ნივთიერებებს: Pyrithione თუთია (CAS No. 13463-41-7), ტერბუტრინი (CAS No. 886-50-0), 2-ოქტილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი (CAS No. 26530-20-1). ბიოციდის პროდუქტის მარკირება.

სხვა საფრთხეები (GHS)

მუშაობისა და შრობის დროს იზრუნეთ მუდმივ განიავებაზე. არ ჭამოთ, დალიოთ ან მოწიოთ პროდუქტთან მუშაობის დროს. კანთან ან თვალებთან კონტაქტისას დაუყოვნებლივ დაიბანეთ წყლით. არ დაუშვათ კანალიზაციაში, წყალსაცავებში ან ნიადაგში მოხვედრა. ხელსაწყოები გამოყენებისთანავე გარეცხეთ წყლით და საპნით. საშლიფი სამუშაოებისთვის გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. არ შეისუნთქოთ წარმოქმნილი მტვერი და აირები. გამოიყენეთ კომბინირებული ფილტრი A2/P2.

უტილიზაცია

მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვები (მასალის ნარჩენების გარეშე). გამაგრებული მასალის ნარჩენების უტილიზაცია უნდა მოხდეს ადგილობრივი ნორმების გათვალისწინებით.

აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC)

პროდუქტის კატეგორია (Kat. A/c): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს არაუმეტეს 10 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC).

პროდუქტის კოდი/Giscode

BSW50

M-DF 01F (ძველი)

დამატებითი ინფორმაცია

იხილეთ პროდუქტის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლები.

CE-მარკირება

CE	
Disbon GmbH Roßdörfer Straße 50 64372 Ober-Ramstadt	
09	
DIS-535-009992	
EN 1504-2:2004 ზედაპირის დამცავი საშუალება - საფარი.	
EN 1504-2: ZA.1d und ZA.1e	
CO2-გამტარიანობა	SD > 50 მ
ორთქლდიფუზიურობა	კლასი I
კაპილარული წყლის შთანთქმა და წყლის გამტარიანობა	w < 0,1 კგ/მ² x h0,5
მოწყვეტის ცდა ადჰეზიის სიძლიერის შესაფასებლად	≥ 1,0 (0,7) N/მმ²
აალების კოეფიციენტი	კლასი E

EN 1504-2
EN 1504-2 „პროდუქტები და სისტემები ბეტონის კონსტრუქციების დაცვისა და შეკეთებისთვის -ნაწილი 2: ბეტონის ზედაპირის დაცვის სისტემები“ განსაზღვრავს მოთხოვნებს ზედაპირის დაცვის მეთოდების მიმართ. პროდუქტები, რომლებიც შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს, უნდა იყოს მონიშნული CE მარკირებით.

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევა პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ "კაპაროლის" ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია "კაპაროლი" სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge